



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



28/04/2017

12-07-4-201704281709



N 12

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 დადგენილება №12  
 2017 წლის 28 აპრილი  
 ქ. ლანჩხუთი

**„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7  
 დადგენილებაში ცვლილების  
 შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი სფეროში მართვადობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 თებერვლის N7 დადგენილებაში (სსმ, 07/03/2017, სარეგისტრაციო კოდი: 200130000.35.112.016289) შევიდეს ცვლილება და დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 3.**  
 ა) 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის - საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების 0,2 პროცენტი.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ საგადასახადო ურთიერთობებზე. გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო